განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო სადოქტორო
პროგრამა „პოლიტიკის მეცნიერებები“
საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი
31-10-2019

დასკვნის ჩაბარების
თარიღი 03-12-2019

თბილისი,
2019 წელი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს უნივერსიტეტი
უსდ-ს საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერებები
განათლების საფეხური	სადოქტორო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	0312
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ ქვეყანა)	ოლივერ რაისნერი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ ქვეყანა)	მაჩიტიძე, ივანა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ ქვეყანა)	ბურდილაძე მარიამ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის დასკვნის რეზიუმე

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**
  საქართველოს უნივერსიტეტში პოლიტიკის მეცნიერებების სადოქტორო პროგრამას, პირველად აკრედიტაცია მიენიჭა 2014 წლის 24 დეკემბერს (#297გადაწყვეტილებით) ხუთი წლის ვადით. პროგრამა მოიცავს 60 ECTS-ის მოცულობის სასწავლო კომპონენტს (33%) და კვლევით კომპონენტს 120 ECTS-ის (67%) მოცულობით. სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია პოლიტიკის მეცნიერებების სფეროში მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი მკვლევარ-ისტორიკოსების მომზადებაზე, რომლებიც მისი დამთავრების შემდეგ, წარმატებით შეძლებენ სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ეთიკური პრინციპებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ინდივიდუალური კვლევის განხორციელებას და სხვადასხვა საქმიანობის შესრულებას. ამ მიზნებმა უნდა წარმართოს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების ფუნქციონირება. ამჟამად პროგრამაზე ირიცხება სამი სტუდენტი, ხოლო ერთმა სტუდენტმა დაასრულა პროგრამა და მისი დოქტორანტურა არ შეჩერებულა. თვითშეფასების ანგარიშის საბოლოო ვერსია დასრულდა 25.07.2019-ში და პროგრამა საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა 02.08.2019-ში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მოკლე მიმოხილვა**
  აკრედიტაციის ვიზიტი ადგილზე განხორციელდა 2019 წლის 31 ოქტომბერს, ხუთშაბათს, დილის 10 საათიდან, საღამოს 19:30-მდე. ექსპერტთა ჯგუფმა, საქართველოს უნივერსიტეტის მიერ, წინასწარ მიწოდებული სააკრედიტაციო ვიზიტის დღის წესრიგის შესაბამისად განახორციელა ინტერვიუები. ექსპერტთა ჯგუფი, დოქტორი ოლივერ რაისნერის ხელმძღვანელობით, ესაუბრა ყველა დაინტერესებულ პირს: სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანს, პროგრამის ხელმძღვანელს, ორ დოქტორანტის ხელმძღვანელს, სამი აქტიური დოქტორანტიდან მხოლოდ ერთს და ასევე, ერთ კურსდამთავრებულს, უნივერსიტეტისა და სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალს, ფაკულტეტის რამდენიმე თანამშრომელსა და მოწვეულ ლექტორებს, ასევე პოტენციურ დამსაქმებლებს. ჩვენ ასევე მოვინახულეთ ბიბლიოთეკა, სასადილო, IT ლაბორატორია და ერთი საკლასო ოთახი (იხილეთ ჩვენი ვიზიტის ცხრილი). მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან დისკუსიებში გამოჩნდა პროგრამის გაგრძელებისა და შემდგომი გაუმჯობესებისადმი მომართული დიდი ძალისხმევა, ბოლო დროს დანერგილი ცვლილებებით. თუმცა, წერილობითი თვითშეფასების ანგარიშში, ხშირად იყო ორიგინალი დოკუმენტებიდან კოპირებული ფრაზები, ასევე არ გვაწვდიდა ინფორმაციას კრიტიკულ თვითრეფლექსიაზე. შესაბამისად, მოგვიწია რამდენიმე დამატებითი დოკუმენტის გამოთხოვა (დოქტორანტების სია, პუბლიკაციების სია, პროგრამის გარე შეფასების ანგარიში და სადოქტორო ნაშრომები). დანარჩენი დოკუმენტაცია ბეჭდური ფორმით იყო ხელმისაწვდომი.
  საქართველოს უნივერსიტეტს შეუძლია დაეყრდნოს, ძალიან გამოცდილ, ხარისხის უზრუნველყოფის გუნდს, კვალიფიციურ ლექტორებსა და მკვლევარებს (ზოგიერთ მათგანს არ ჰქონდა ხარისხი პოლიტიკის მეცნიერებებში, თუმცა ჰქონდათ ისტორიის და შემდგომში პოლიტიკის ანალიზში მოპოვებული საკმარისი ექსპერტიზა).

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სადოქტორო პროგრამა შეესაბამება 1, 4 და 5 სტანდარტებს, ხოლო მეტწილად შეესაბამება 2 და 3 სტანდარტებს. სფეროსი. ზოგადი კურსები მაღალი დონისაა, ისინი უზრუნველყოფენ პოლიტიკის მეცნიერებების დარგის მიღმა საჭირო და მნიშნელოვანი უნარების განვითარებას (მაგალითად, არჩევითი კურსი კვლევის პროექტის მართვაზე). ხელმძღვანელებს ძალიან იშვიათად, ხოლო დოქტორანტურის სტუდენტებს საერთოდ არ აქვთ გამოქვეყნება საერთაშორისო, რეცენზირებად ჟურნალებში. საქართველოს უნივერსიტეტი განაგრძობს კარგად შემუშავებულ, თუმცა იზოლირებულ და საკუთარ თავზე დაყრდნობილ კვლევას პოლიტიკის მეცნიერებებში. არ არსებობს მოქმედი კვლევითი თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან, რაც არ შეესაბამება 21-ე საუკუნის დისციპლინარულ მიმდინარეობებს. ერთადერთი სადოქტორო ნაშრომი იყენებს საერთაშორისო მულტიკულტურალიზმის ინდექსს საქართველოსთვის, თუმცა მასში არ არის საერთაშორისო კვლევაზე, კონცეფციებზე და მიდგომებზე დაფუძნებული კრიტიკული საკვლევი შეკითხვა. თუმცა, 2018 წლის დასაწყისში პროგრამის მენეჯმენტში მომხდარი ცვლილებების შემდეგ, ჯერჯერობით, კვლევის პრაქტიკის ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესებისთვის (განსაკუთრებით პუბლიკაციები, კონფერენციები, კვლევითი კონსორციუმები) პროაქტიური ზომები არის დაგეგმილი.

- **რეკომენდაციები**

1.1.1 სამომავლოდ, სადოქტორო პროგრამის ინტერნაციონალიზაცია უნდა გახდეს ძალისხმევის მთავარი ობიექტი. ეს მოიცავს უცხოელი მკვლევარების ჩართვას ხელმძღვანელობის პრიცესში, ასევე საერთაშორისო, რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნების მოთხოვნას. ამ გამოცდილების გარეშე, სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულები ვერ იქნებიან კონკურენტუნარიანები საერთაშორისო დონეზე (მაგალითად, დოქტორანტურის შემდგომ საერთაშორისო გრანტებზე განაცხადის შეტანისას).

1.1.2 პროგრამამ უნდა განამტკიცოს პოტენციური ხელმძღვანელების კვლევითი შესაძლებლობები, რაც იზომება საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში პუბლიკაციებითა და კვლევითი გრანტების მოგებით, რომელიც ქმნის შესაძლებელობას პოტენციური დოქტორანტის დასაქმებისთვის.

2.1.1 საქართველოს უნივერსიტეტის ადგილობრივი და საერთაშორისო აკადემიური რეპუტაციის გაძლიერების მიზნით, საჭიროა დოქტორანტების დიდი სიფრთხილით შერჩევა, აკადემიური წარჩინებისადმი მათი რეალური ერთგულების და საკუთარი ხელმძღვანელების კვლევით პროექტებში მონაწილეობის და იდეალურ შემთხვევაში გარკვეული კვლევითი ან სამუშაო გამოცდილების გათვალისწინებით.

2.4.1 პროგრამის შემმუშავებლები, ჩართული ხელმძღვანელები და ლექტორები დასაწყისიდანვე უნდა უზრუნველყოფნენ სტუდენტების ადეკვატურ სწავლებას, განვითარებას და შეფასებას საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით, მათი კვლევითი პრაქტიკის მიმდინარეობისას (კვლევის პრეზენტაცია საერთაშორისო კონფერენციებზე, პუბლიკაციები რეცენზირებად აკადემიურ ჟურნალებში, უმაღლესი განათლების სახელმძღვანელოებში

შეტანილი წვლილი, (თანა)სწავლება უნივერსიტეტში და ა.შ.).

2.5.1 უნივერსიტეტისა და პროგრამის მენეჯმენტი უნდა დაემაროს ლექტორებს და ხელმძღვანელებს დოქტორანტების პროფილის შესაბამისად სწავლებისა და სწავლის უფრო მრავალფეროვანი მეთოდების შემოღებაში. ამ მიზნით, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომებისათვის შეუძლიათ დაეყრდნონ მათ თანამედროვე სწავლების მეთოდების მცოდნე სპეციალისტებს.

3.1.1. დაამყარეთ ახალი და განამტკიცეთ არსებული საერთაშორისო პარტნიორობები, ისე რომ ბოლო კურსის სტუდენტებმა შეძლონ გამოცდილების მიღება საერთაშორისო კვლევით გაცვლაში სადოქტორო დონეზე, რაც შედგება ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობისა და /ან კვლევითი პროექტებისგან.

3.2.1 საქართველოს უნივერსიტეტმა ხელმძღვანელებთან ერთად უნდა დააზუსტოს ხელმძღვანელობისთვის საჭირო კვალიფიკაციები და მათი შესრულებული მუშობის შეფასების მეთოდი.

3.2.2 დოქტორანტების წარდგენა საერთაშორისო აკადემიურ კვლევით პრაქტიკაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს, მაგალითად თანა-ტუტორინგის სახის ინტერნაციონალიზაციის მეშვეობით.

4.1.1 პროგრამის განვითარებაზე მომუშავე ყველა აკადემიურმა პერსონალმა უფრო მეტად უნდა ეცადოს საკუთარი კვლევების გამოქვეყნებას საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში. საკუთარი პრაქტიკული გამოცდილების გარეშე, ისინი ვერ შეძლებენ მიმართულება მისცენ სტუდენტებს საერთაშორისო აკადემიურ მოსწრებაში.

4.1.2 პროგრამის მენეჯმენტი უნდა ისწრაფვოდეს საქართველოს უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის პროცესში საერთაშორისო მკვლევარების მეტი ჩართულობისკენ. ამგვარად, დოქტორანტებისთვის ხელმისაწვდომი გახდება საერთაშორისო კვლევითი ლიტერატურა და გაცვლითი პროგრამები, რათა გამოცდილება დააგროვონ შესაბამის მიმართულებებში.

5.2.1. საზღვარგარეთ არსებულ (ევროპა და აშშ) სამეცნიერო საზოგადოებაში ჩართული დარგის საერთაშორისო ექსპერტების მიერ განხორციელებული გარე შეფასება, ხელს შეუწყობს პროგრამის დიზაინის სრულყოფას, დოქტორანტურის სტუდენტებისა და ხელმძღვანელებისგან შემდგარი საზოგადოების ჩამოყალიბების გზების მოძიებას, რომლებიც თანამშრომლობისა და ინტერაქციის უწყვეტი პროცესით იმუშავებენ საკვლევ თემებზე. ეს ასევე გამოსადეგი იქნება ბენჩმარქინგის პროცესში, ასევე სკოლის/უნივერსიტეტისთვის კვლევითი განვითარების სტრატეგიის აგებაში.

რჩევები:

1.1.3 პოლიტიკის მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის მდგრადი და წარმატებული განხორციელებისთვის, სასურველია საქართველოს უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბოს პროგრამის როლი (სხვებთან ერთად) სკოლისთვის, ასევე უნივერსიტეტისთვის და ზოგადად, მისი კვლევითი დღის წესრიგისთვის. ასეთი სტრატეგიული დოკუმენტი დაეხმარება კვლევითი პრიორიტეტების გამოვლენაში, რათა გაძლიერდეს მისი, როგორც კერძო უნივერსიტეტის პოზიცია, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში.

1.2.2 სადოქტორო პროგრამის შედეგები შესაძლოა ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ მათი მიღწევა

გახდეს რამდენადაც შესაძლებელია ობიექტურად გაზომვადი (მაგ. სტატიების პუბლიკაცია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში, წიგნის მიმოხილვები აკადემიურ ჟურნალებში, საერთაშორისო კვლევით პროექტებში ან ასოციაციებში ჩართულობა და სხვ.).

1.2.3 სადოქტორო პროგრამის შედეგები შესაძლოა, ასევე მოიცავდეს უფრო მეტ თანამშრომლობით ფორმას, რეცენზირებას, ეროვნულ და საერთაშორისო კვლევით კლასტერებში მონაწილეობას, საჯარო დისკუსიებს, ინსტიტუციონალურ პარტნიორებთან სტრუქტურირებულ თანამშრომლობას.

2.1.2 პროგრამაზე პასუხისმგებელ პირებს ვურჩევთ, განიხილონ თუ როგორ შეიძლება არსებული აკადემიური და საზედამხედველო საბჭოს ჩართვა პოტენციური დოქტორანტების შერჩევაში.

2.3.1 საქართველოს უნივერსიტეტმა უნდა განიხილოს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების (ERASMUS+, DAAD, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი) მეტად გამოყენების საკითხი, პროგრამაში, სასწავლო კურსების განსახორციელებლად უცხოელ ლექტორთა ან უცხოური სასწავლო პროგრამების ქართველი კურსდამთავრებულების მოწვევით.

2.3.2 თუკი თვისებრივი მეთოდების კურსს გადაიტანთ პროგრამის ძირითად კომპონენტად, ეს პროგრამას შეჰმატებს სიძლიერეს და კურსდამთავრებულს სრულყოფილ ცოდნას მისცემს კვლევის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებაში. რამდენადაც, საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებას (ბაკალავრიატის და მაგისტრატურის პროგრამები) ჯერ კიდევ, უმეტესად, თვისებრივ მეთოდებზე ფოკუსირდება, რადგან განიცდის კურსდამთავრებულთა ექსპერტიზის ნაკლებობას კვლევის მეთოდებისა და კვლევის დიზაინის მიმართულებით. რაოდენობრივი მეთოდების კურსზე დამატებითი ყურადღების გამახვილება, გააფართოვებდა კვლევითი ინსტრუმენტების არეალს, რომელსაც სტუდენტები გამოიყენებდნენ დისერტაციის წერისა და სხვა კვლევებზე მუშაობის დროს.

2.3.3 პროგრამის კურსების შინაარსისათვის გამოსადეგი იქნებოდა მკაფიოდ გამოხატული სამიზნე ნიშნულების სტრატეგია, რაც კურსის დიზაინისა და პროგრამის შინაარსის თვალსაზრისით გვაძლევს საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინების შესაძლებლობას, ისევე როგორც სადოქტორო პროგრამის ადგილის დამკვიდრებას ადგილობრივ და საერთაშორისო კონტექსტში, მისი სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენის შესაძლებლობას.

2.3.4 შეფასების კრიტერიუმები შეიძლება დივერსიფიცირდეს და უფრო მეტად ფოკუსირდეს კონკრეტულ უნარებზე, არა მხოლოდ პრეზენტაციებზე, არამედ სწავლების ნიმუშებზე, აკადემიური წიგნების მიმოხილვაზე, ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებაზე და ა.შ.

2.3.5 მენეჯმენტს, ლექტორებს, ყოფილ და ამჟამინდელ სტუდენტებს შეუძლიათ ერთობლივად მოახდინონ გავლენა უფრო თანამშრომლობითი მიდგომების დანერგვაზე და ამგვარად წაახალისონ მეტი კომუნიკაცია სხვა დოქტორანტებთან, ინდივიდუალური კვლევითი პროექტების მიღმა, რაც დოქტორანტებს მოამზადებს საერთაშორისო მკვლევარებთან ინტერაქციისთვის.

2.4.2. სადოქტორო პროგრამას შეუძლია უზრუნველყოს დოქტორანტების აქტიური ჩართულობა, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო პარტნიორ დაწესებულებებთან, კვლევითი თანამშრომლობის პროცესში.

2.6.1 ამ დრომდე, დოქტორანტები მეტწილად მარტო მუშაობენ თავიანთ ხელმძღვანელებთან. საქართველოს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის საშუალებას, რომ დაინერგოს ახალგაზრდა მკვლევარების ჯგუფური მუშაობა, სადაც ისინი შეძლებენ

ერთმანეთის დახმარებას და ამგვარად ისწავლიან თანამედროვე აკადემიური თანამშრომლობის ძირითად ასპექტებს.

3.1.2. დაამყარეთ პარტნიორობა ბიზნესთან და საჯარო სექტორის პოტენციურ დამსაქმებლებთან.

3.2.3. სტუდენტსა და ხელმძღვანელს შორის კონსულტაციის პრაქტიკის დანერგვა.

4.1.3 პოლიტიკის მეცნეირებათა დარგში ხელმისაწვდომი საერთაშორისო პერსონალი აქტიურად უნდა იყოს ჩაბმული პროგრამასა და მის განვითარებაში.

4.1.4 პროგრამის პერსონალმა აქტიურად უნდა გამოიყენოს საქართველოს უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა კავკასიის ჟურნალი, რათა დოქტორანტებს გამოუმუშაონ ინგლისურენოვანი სტატიების რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნების პრაქტიკა. ეს უდავოდ იქნებოდა აქტივი.

4.3.1. საქართველოს უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის პერსონალს შეუძლია უფრო აქტიურად გამოიყენოს ეს მონაცემთა ბაზები და წაახალისოს დოქტორანტებიც მათ გამოსაყენებლად. პოლიტიკის მეცნიერებებში უახლესი დებატების შეფასებების მიღება ხდება მხოლოდ საერთაშორისო აკადემიურ ჟურნალებიდან ამოღებული ინფორმაციით (არა პოლიტიკური სტატიებითა და ბლოგებით). ეს შესაძლებელია მოხდეს დოქტორანტების მიერ ლიტერატურის რეგულარული მიმოხილვის პრაქტიკის შემოღებით.

4.4.1 თუ პროგრამა სერიოზულადაა განწყობილი მაღალი ხარისხის აკადემიური კვლევის შედეგების შექმნისადმი, მან უნდა შესთავაზოს დოქტორანტებს, რომ განახორციელონ თავიანთი სადოქტორო კვლევები აკადემიური პერსონალის მიერ რუსთაველის ან სხვა ფონდებიდან მოპოვებულ კვლევით გრანტებში არსებული სტიპენდიების საშუალებით.

5.3.1. სასურველია, სტუდენტთა წარმომადგენლობის გათვალისწინება პროგრამის ყველა შესაბამის ორგანოში, განსაკუთრებით აკადემიურ და საზედამხედველო საბჭოებში.

- **საუკეთესო პრაქტიკის რეზიუმე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

კვლევების მხარდაჭერის სტრუქტურის არსებობა, საგრანტო სქემით კონკრეტული კვლევითი ძალისხმევისათვის, რომელიც შემოღებულ იქნა 2018-2019 წლებში და ხელს უწყობს დოქტორანტების კვლევის პროგრესს. დოქტორანტები პროაქტიურად უნდა წახალისდნენ, ამ შესაძლებლობის გამოსაყენებლად.

სამეცნიერო და მრჩეველთა საბჭოს შემოღება თითოეული ინდივიდუალური დოქტორანტისთვის წარმოადგენს ინოვაციურ მიდგომას გუნდურ მუშაობაზე ზედამხედველობის გასაუმჯობესებლად. სადოქტორო პროგრამაზე მხოლოდ სამი ჩარიცხული სტუდენტით, ეს უზრუნველყოფს ზედამხედველობაზე მორგებულ სტრუქტურულ გარემოს.

საჭიროების შემთხვევაში, ზედამხედველებს შეუძლიათ მობილიზდნენ თავიანთი დოქტორანტების ინდივიდუალური მხარდაჭერისათვის (სპეციალური ენის სწავლების საფასური) და ასევე, მცირე გრანტები სფეროს კვლევის ჩასატარებლად, რაც საშუალებას მისცემს დოქტორანტებს უფრო მეტად ფოკუსირდნენ თავიანთ კვლევაზე და განახორციელონ დარგის კვლევები.

- **აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (თუ არსებობს)**

  არ არის.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამით მკაფიოდაა განსაზღვრული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა დაკავშირებული ერთმანეთთან. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რეგულარულად ფასდება სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები განსაზღვრავს იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა განვითარებასაც პროგრამა მიზნად ისახავს კურსდამთავრებულებში. პროგრამის მიზნები ასევე ახდენს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში შესატანი წვლილის ილუსტრირებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის გაცხადებული ამოცანაა „მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება“ პოლიტიკის მეცნიერებათა ყველა ქვე-დარგში. იგი განიზრახავს დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის ჩასატარებლად უნარების გამომუშავებას და საქართველოში ახალი ცოდნის წარმოების ხელშეწყობას, მის ინტერნაციონალიზაციას და ინტეგრაციას საერთაშორისო აკადემიურ წრეებში. იგი ასევე მიზნად ისახავს, მოამზადოს და ასწავლოს დარგის ცალკეული დისციპლინები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და, რომ, იყოს კონკურენტუნარიანი შრომის ბაზარზე. პროგრამის მიზნები მკაფიო, რეალისტური და მიღწევადია. ისინი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას (ხელმისაწვდომია საქართველოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე), რომელიც მიზნად ისახავს ქართულ საზოგადოებაში და კერძოდ სამეცნიერო საზოგადოებაში ლიბერალური და დემოკრატიული ღირებულებების ხელშეწყობას. სადოქტორო პროგრამა სტუდენტს აძლევს იმ აუცილებელ უნარებსა და ცოდნას, რომლებიც საჭიროა კვლევით ერთეულებში ან უსდ-ებში დასაქმებისათვის. თვითშეფასების ანგარიშში, პროგრამის ხელმძღვანელები თავად აღნიშნავენ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესების საჭიროებას. თუმცა, უსდ არ სარგებლობს თავისი, უკვე არსებული ინსტიტუციური ერთეულებით (მაგალითად, მრავალეთნიკური კვლევების ცენტრი) ან საერთაშორისო პარტნიორობებით. საქართველოს უნივერსიტეტს არ ჩამოუყალიბებია კვლევისთვის კონკრეტული დღის წესრიგი. შესაბამისად, გარდა უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის უზრუნველყოფისა, სადოქტორო პროგრამის როლი საქართველოს უნივერსიტეტის ინსტიტუციონალური განვითარებისა, თუ მისი ინტერდისციპლინარულ კვლევით ძალისხმევაში ბუნდოვანია. რამდენადაც, საქართველოს უნივერსიტეტს აქვს ამბიცია, წვლილი შეიტანოს პოლიტიკის მეცნიერებათა დარგის საერთაშორისო კვლევაში, აშკარა შეზღუდვები აქვს საკუთარი კვლევის საერთაშორისო გავრცელების თვალსაზრისით, კერძოდ კონფერენციებში მონაწილეობის, საერთაშორისო პუბლიკაციებისა და ურთიერთ-თანამშრომლობის პროექტების კუთხით. თუმცა, მათი დანერგვა მომდევნო ნაკადზე იგეგმება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: თვითშეფასების ანგარიში, სადოქტორო პროგრამა, გასაუბრება დეკანთან, მენეჯმენტთან, სასწავლო და ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალთან, შრომის ბაზრის კვლევა, უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

1.1.1 სადოქტორო პროგრამის მთავარი სამომავლო ძალისხმევა უნდა მიემართოს ინტერნაციონალიზაციისკენ. ეს მოიცავს, უცხოელი მკვლევარების ჩართულობას ხელმძღვანელობის პროცესში, ასევე საერთაშორისო, რეცენზირებად ჟურნალებში მოთხოვნილ პუბლიკაციებს. ამ გამოცდილების გარეშე, სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულები არ იქნებიან კონკურენტუნარიანები საერთაშორისო დონეზე (მაგალითად, დოქტორანტურის შემდგომ საერთაშორისო გრანტებზე განაცხადის შეტანისას).

1.1.2 პროგრამამ უნდა განამტკიცოს პოტენციური ხელმძღვანელების კვლევითი უნარები, რაც იზომება საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში პუბლიკაციებითა და კვლევითი გრანტების მოპოვებაში წარმატებულობით, რამაც შესაძლებელია უზრუნველყოს დოქტორანტის პოტენციური დასაქმება.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

1.1.3 პოლიტიკის მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის მდგრადი და წარმატებული განხორციელებისთვის, სასურველია საქართველოს უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბოს პროგრამის როლი (სხვებთან ერთად) სკოლისთვის, ასევე უნივერსიტეტისთვისა და ზოგადად, მისი კვლევითი დღის წესრიგისთვის. ასეთი სტრატეგიული დოკუმენტი დაეხმარება კვლევითი პრიორიტეტების გამოვლენაში, რათა გაძლიერდეს მისი, როგორც კერძო უნივერსიტეტის პოზიცია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისათვის.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

უდავოა, რომ სამეცნიერო და სათათბირო საბჭოს დანერგვა თითოეული, ინდივიდუალური დოქტორანტისთვის ძალიან ინოვაციური მიდგომაა, ხელმძღვანელობის, როგორც გუნდური მუშაობის გაუმჯობესებისთვის. რამდენადაც სადოქტორო პროგრამაზე მხოლოდ სამი სტუდენტი ირიცხება, ეს ქმნის სტრუქტურულ გარემოს, სპეციალურად მასზე მორგებული ხელმძღვანელობისთვის. თუმცა, საჭიროა მისი სათანადო განხორციელების უზრუნველყოფა.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

ხელახალი აკრედიტაციისთვის, სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა გაუმჯობესდა აკრედიტაციის მოპოვების შემდგომ, ხუთი წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე (სამეცნიერო საბჭოს დანერგვა, კვლევის პროექტის მართვა და IT კურსები). გარდა ამისა, დაინერგა კვლევის დაფინანსების წამახალისებელი სტრუქტურა, რათა სტუდენტებს მიეცეთ საშუალება, მიიღონ დაფინანსება საჭირო საველე მისიებისთვის, ლიტერატურისა თუ პუბლიკაციებისთვის. დოქტორანტურის სტუდენტების ფინანსური სტრესის გათვალისწინებით, ეს ნამდვილად დიდი გაუმჯობესებაა ორიგინალური კვლევისთვის.

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები არის ის ცოდნა, უნარები და/ან პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- სწავლის შედეგების შეფასების ციკლი მოიცავს მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლის შედეგები გაზომვადია, მიღწევადი და რეალისტურია. ისინი შეესატყვისება კვალიფიკაციას და ხარისხის მოთხოვნებს, ასევე შეესაბამება საბაზრო მოთხოვნებს. პროგრამის ძირითადი კურსები დოქტორანტს აძლევს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი აკადემიური წერის, სწავლებისა და კვლევის შესახებ ცოდნას - ეს სამი, კი წარმოადგენს დოქტორანტურის ნებისმიერი კურსდამთავრებულისთვის უკიდურესად მნიშვნელოვან საყრდენებს. ძირითადი კურსები ახალი ცოდნის წარმოებისთვის ქმნიან საფუძველს. პროგრამა სწორად მიუთითებს, რომ დამთავრების შემდეგ დოქტორანტს ექნება "კვლევის საერთაშორისო სტანდარტებით განხორციელების უნარი". ეს მიზანი სათანადოდა გათვალისწინებული სწავლებისა და კვლევის განხორციელებულ კომპონენტებში. პოლიტიკის მეცნიერებებთან დაკავშირებულ კვლევის მეთოდოლოგიაზე ხაზგასმა სოციალურ მეცნეირებათა ფილოსოფიის კონტექსტში კარგად არის დანერგილი, იძლევა რა პოლიტიკის მეცნიერებათა განვითარების კომპლექსური გაგების, მნიშვნელოვანი დისკუსიების და მიდგომების განხორციელების საშუალებას. პოლიტიკის მეცნიერებათა ძირითადი კურსების სილაბუსები უზრუნველყოფენ დისციპლინური მეთოდოლოგიის ძირითადი არსის შესავალს. ეს აუცილებელია საერთაშორისოდ კონკურენტუნარიანი, პოლიტიკის მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის შესანარჩუნებლად. ცხადია, შეუძლებელი იქნება პოლიტიკის მეცნეირებათა დარგში არსებული გლობალური მიღწევების მთელი სპექტრის გავლა, თუმცა საჭიროა ხელმძღვანელებს შორის კვლევის პრიორიტეტების განაწილება.
საინტერესოა, რომ გასაუბრების დროს, აკადემიურ პერსონალს და დოქტორანტებს, არ უხსენებიათ, რომ გამოეყენებინოთ საერთაშორისო ონლაინ მონაცემთა ბაზები, რომელსაც უნივერსიტეტი სთავაზობს თავის სტუდენტებს კვლევისთვის. იმ ერთ სადოქტორო ნაშრომში, რომელიც ჩვენ შევაფასეთ, ავტორი საერთაშორისო კვლევით ლიტერატურას იყენებდა მხოლოდ საკუთარი თემების მრავალეთნიკური კვლევის ჩარჩოში ჩასასმელად, მაგრამ თითქმის არცერთი სტატია არ შეურჩევია წამყვანი რეცენზირებადი ჟურნალებიდან.

სწავლის შედეგების რუკა, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის მიზნებისა და პროგრამის სწავლის შედეგების შესატყვისობას, სხვა დოკუმენტებთან ერთად ექსპერტთა ჯგუფისთვის არ მოუწოდებიათ და მხოლოდ აკრედიტაციის ვიზიტის დღეს მოგვაწოდეს

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

სადოქტორო პროგრამა; გასაუბრება პროგრამის პერსონალთან ადგილზე ვიზიტის დროს, ერთი სადოქტორო ნაშრომი; **ბაზრის კვლევა 2019**

რეკომენდაციები:
არ არის მითითებული.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: 1.2.2 სადოქტორო პროგრამის შედეგები შესაძლოა ფორმულირდეს იმგვარად, რომ მათი მიღწევა რამდენადაც შეიძლება ობიექტურად გაზომვადი გახდეს (მაგ. სტატიების პუბლიკაცია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში, წიგნის მიმოხილვაზე პუბლიკაციები აკადემიურ ჟურნალებში, საერთაშორისო კვლევით პროექტებსა ან ასოციაციებში ჩართულობა და სხვ.). 1.2.3 სადოქტორო პროგრამის შედეგები შესაძლოა ასევე მოიცავდეს უფრო მეტ თანამშრომლობით ფორმას, რეცენზირებას, ეროვნულ და საერთაშორისო კვლევით კლასტერებში მონაწილეობას, საჯარო დისკუსიებს და ინსტიტუციონალურ პარტნიორებთან სტრუქტურირებულ თანამშრომლობას.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ აღინიშნება.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში არ აღინიშნება.
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის ამოცანები, სწავლის შედეგები და და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატური შეფასება

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს მიზნებისა და დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები კარგად ჩამოყალიბებულია, მოიცავს რა წინა სადიპლომო სწავლებას პოლიტიკურ მეცნიერებებში მხოლოდ საბაკალავრო, სამაგისტრო დონეებზე. არ არის გამოკვეთილი მითითება დოქტორანტურის სტუდენტის ძალისხმევაზე აკადემიური კვლევის მიმართულებით. თუმცა, კვლევის პროექტი მისაღები განაცხადის შემადგენელი ნაწილია, რაც იძლება პოტენციური დოქტორანტის მზაობის შეფასების შესაძლებლობას. დოქტორანტს მოეთხოვება უცხო ენის ცოდნა (ინგლისური B2 დონეზე). ჩვენი ვიზიტის დროს, დეკანმა და პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადეს, რომ დოქტორანტები ძირითადად მათი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები არიან. როგორც გამოვლინდა დოქტორანტთან და კურსდამთავრებულთან ინტერვიუში, სადოქტორო კვლევის ჩატარება არ არის სრულად დაკავშირებული აკადემიურ მოსწრებასთან. ეს ხშირად იწვევს აკადემიურ და პროფესიულ ვალდებულებებზე ორმაგ დატვირთვას, რაც გავლენას ახდენს კვლევის ხარისხზე. ცხადია, ვერ შემოწმდა, თუ რამდენად სერიოზულია აკადემიური ვალდებულებები სინამდვილეში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

სადოქტორო პროგრამა; გასაუბრება დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან.

რეკომენდაციები:

2.1.1 საქართველოს უნივერსიტეტის ადგილობრივი და საერთაშორისო აკადემიური რეპუტაციის გაძლიერების მიზნით, საჭიროა დოქტორანტურის სტუდენტების დიდი სიფრთხილით შერჩევა, აკადემიური მოსწრებისადმი მათი რეალური ძალისხმევის მიხედვით და საკუთარი ხელმძღვანელების კვლევით პროექტებში ჩართულობით, იდეალურ შემთხვევაში კვლევითი ან სამუშაო გამოცდილებით.

რჩევები:

2.1.2. პროგრამაზე პასუხისმგებელ პირებს ვურჩევთ, განიხილონ თუ როგორ შეიძლება დანერგილი აკადემიური და ზედამხედველობის საბჭოს ჩართვა პოტენციური დოქტორანტების შერჩევაში.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ აღინიშნება.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

თვითშეფასებაზე მეტად სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ არსებობს გაზიარებული ვალდებულება, არსებული რესურსების გამოყენებით პროგრამის გაუმჯობესების თაობაზე.

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
პოლიტიკის მეცნეირებათა სადოქტორო პროგრამა შემუშავებულია ხარისხის უწყვეტი უზრუნველყოფის შესახებ უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესაბამისად, სადაც დაკონკრეტებულია პროგრამაში ცვლილებების შეტანის ალგორითმი. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამასა და თითოეულ კურსზე დაშვების ადეკვატურ წინაპირობებს. პროგრამის დიზაინი წარმოადგენს ყველა მთავარი დაინტერესებული პირის (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების და სხვა) რეგულარული და სისტემატიური ჩართულობის შედეგს. ინფორმაცია სადოქტორო პროგრამის შინაარსსა და მის სტრუქტურაზე საჯაროა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. საერთო ჯამში, საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება მოთხოვნილ სტანდარტებს და უზრუნველყოფს ეფექტურ სადოქტორო სწავლებას. პროგრამა ხორციელდება 2015 წლიდან. თავდაპირველი აკრედიტაციის შემდეგ იგი შეიცვალა, კერძოდ, სასწავლო გეგმის მოდული დაიყო სავალდებულო და არჩევით საგნებად. ორი დისციპლინარული კურსი, პოლიტიკის მეცნიერებებში არსებული მეთოდების შესახებ, საკმარისია საერთაშორისო დონეზე აკადემიური კვლევის წარმოებისთვის. გამართლებულია სასწავლო კომპონენტის შეწონვა ერთი მესამედით (60 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტის - ორი მესამედით (120 კრედიტი). პროგრამა არ ითვალისწინებს აკრედიტაციის სტანდარტებით მოთხოვნილ თავისუფალ კრედიტებს, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემდა მონაწილეობა მიეღოთ გაცვლით პროგრამებში ან გამოემუშავებინათ დამატებითი ექსპერტიზა თავიანთ ინტერესის სფეროებში, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ სადოქტორო პროგრამა ინტერდისციპლინარული ხასიათისაა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
პროგრამის დოკუმენტი, გასაუბრება სასწავლო პერსონალთან, ერთ ყოფილ და ერთ მოქმედ დოქტორანტთან; გამოკითხვები - დოქტორანტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალის, პოტენციური დამსაქმებლების; უს-ს ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები:
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
ამ დროისთვის, ოთხი დოქტორანტიდან მხოლოდ ერთმა დაამთავრა (ერთს კი სტატუსი აქვს შეჩერებული ფინანსური მიზეზების გამო), სამი კი განაგრძობს. ჩვენ მხოლოდ ერთი შევაფასეთ, რომელსაც საერთაშორისო კვლევითი ლიტერატურა, თეორიული თუ კონცეპტუალური მიდგომები ჰქონდა გამოყენებული.

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.3 კურსი

- თითოეული სავალდებულო კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან; ყოველი კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება მის სასწავლო შედეგებს;
- სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის განზრახული სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ადრე, ყველა კურსი სავალდებულო იყო. სასწავლო კომპონენტის სავალდებულო კურსების მოცულობა შეადგენს 30 კრედიტს: 1. მეცნიერების ფილოსოფია (10 კრედიტი)- (ინფორმაცია ლექტორის შესახებ არ არის მოცემული სილაბუსში) რაც იძლევა ძალიან კარგ და რელევანტურ შესავალს აკადემიური კვლევის ეპისტემოლოგიაში, პოლიტიკის მეცნიერება მხოლოდ ნაწილობრივაა განხილული. 2. თვისებრივი კვლევის მეთოდები (10 კრედიტი) ძალიან საჭირო და სასარგებლოა (პროგრამაში მითითებულია, როგორც კვლევის მეთოდები და დიზაინი, კურსს ასწავლიან სხვადასხვა ლექტორები). კვლევის დიზაინის კურსი დოქტორანტს მატებს კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ ცოდნას, რაც ეფუძნება მეცნიერების ფილოსოფიის კურსით მოპოვებულ ცოდნას. კვლევის დიზაინის კურსის ჩაბარების შემდეგ, სტუდენტებს შეუძლიათ თავად გადაწყვიტონ, რომელ კონკრეტულ მეთოდს გამოიყენებენ კვლევის მიზნებიდან გამომდინარე; გააკეთონ ინფორმირებული არჩევანი, თვისებრივ, რაოდენობრივ და შერეულ კვლევის მეთოდებს შორის. და ბოლოს, დოქტორანტები აღჭურვილნი არიან პოლიტიკის მეცნიერებების მეთოდოლოგიური მიდგომებითა და თეორიული დისკურსის კომპლექსური ხასიათის აღქმით. პოლიტიკის მეცნიერებათა სპეციალობის მოდული, დოქტორანტს სთავაზობს შანსს დარგში უახლოეს კვლევით დისკუსიებზე დაყრდნობით, განიხილოს და კრიტიკულად შეაფასოს დარგის მთავარი თემები. 3. სწავლებისა და შეფასების თანამედროვე სტრატეგიები (5 კრედიტი) სტუდენტს ამზადებს აკადემიური სწავლებისთვის. 4. დოქტორანტის სემინარი I სპეციალობაში (5 კრედიტი), 5. დოქტორანტის სემინარი II (5 კრედიტი) მოიცავს პოლიტიკის მეცნიერებებში კვლევის მეთოდების ძირითად საკითხებს.

ჩამოთვლილი არჩევითი კურსები 20-25 კრედიტის ოდენობით, ჯამში: 6. პროფესორის ასისტირება (პედაგოგიური პრაქტიკა, 5 კრედიტი) ყველა დოქტორანტისთვის, რომელიც უკვე არ ასწავლის უსდ-ში. 7. აკადემიური წერა სამეცნიერო გამოქვეყნებებისთვის (10 კრედიტი) არის ზოგადი შესავალი ამ უნარში, თუმცა არ მოიცავს პოლიტიკის მეცნიერებათა ჟურნალებში გამოქვეყნების თავისებურებებს. 8. ტექსტის რეფერირება და თარგმნა (5 კრედიტი), ნამდვილად საინტერესოა, თუმცა ძალიან სპეციფიური ხასიათის. 9. კვლევითი პროექტის მართვა (10 კრედიტი) ძალიან სასარგებლოა იმისათვის, რომ დოქტორანტმა იცოდეს - კვლევა მართვადი პროცესია. ეს კურსი ასევე სასარგებლოა

კვლევითი პროექტების განაცხადების მოსამზადებლად სამეცნიერო ფონდებსა თუ დაწესებულებებში წარსადგენად. 10. რაოდენობრივი კვლევის მეთოდები (10 კრედიტი) რელევანტურია სოციალური, თუ ეკონომიკური კვლევისთვის და შესაბამისად, სწორად არის განთავსებული არჩევით საგნად. 11. ელექტრონული სწავლების მართვის სისტემები (5 კრედიტი) ძირითადად მოიცავს MOODLE_ს, როგორც სასწავლო ხელსაწყოს, თუმცა არ მოიცავს ციფრული ჰუმანიტარული მეცნიერებების მიღწევებს, რაც უფრო და უფრო მეტ კვლევასა და წყაროს ხდის მარტივად ხელმისაწვდომს ონლაინ მონაცემთა ბაზებში, რის შესახებაც დოქტორანტი ინფორმირებული უნდა იყოს. 60 კრედიტით, სასწავლო კომპონენტი შეადგენს მთლიანი პროგრამის ერთ მესამედს.

120 კრედიტით, კვლევის კომპონენტი შეადგენს პროგრამის ორ მესამედს და მის ძირითად ნაწილს (77%). იგი ძირითადად ეყრდნობა რეგულარულ კონსულტაციებს ხელმძღვანელებთან. ახლად დანერგილი აკადემიური და სათათბირო საბჭო ხელს შეუწყობს ამ კომპონენტის შემდგომ სტრუქტურირებას. არ მოქმედებს დოქტორანტის რეგულარული სემინარები, რათა მოხდეს მიმდინარე კვლევის გაზიარება ხელმძღვანელთან და თანაკურსელებთან. არ არსებობს თანამშრომლობის ფორმები დოქტორანტებს შორის (ჯგუფური მუშაობა, მცირე კონფერენციების ან ვორქშოპების ორგანიზება, საექსპერტო მიმოხილვები, კონტრაქტები და ურთიერთობა უცხოელ მეცნიერებთან, რომლებიც მუშაობენ ანალოგიურ თემებზე საზღვარგარეთ). კვლევის კომპონენტის სტრუქტურაზე ასახული არ არის, რომ დოქტორანტებს შეეძლებათ დროულად შეასრულონ თავიანთი დავალებები (მაშინაც კი, თუ საქართველოში ბევრი მათგანი მუშაობს სრულ განაკვეთზე და ატარებს კვლევას სამუშაოს შემდეგ) რაც წარმოადგენს სერიოზულ სტრუქტურულ პრობლემას და ზიანს აყენებს მთლიანი კვლევის ხარისხს. ეს წარმოადგენს სერიოზულ სტრუქტურულ პრობლემას რაც აფერხებს კვლევის შედეგების საერთო ხარისხს. თანამშრომლობითი სტრუქტურა დაეხმარება დოქტორანტებს წერაში დაბრკოლებებისა და სხვა პრობლემების გადალახვაში, თუკი მათი განხილვა უშუალოდ პირად ხელმძღვანელთან კონტაქტის დროს არ ხდება. საერთო ჯამში, კურსის სილაბუსებს, ისევე როგორც პროგრამას, აკლია თანმიმდევრული და მსგავსი ფორმატები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

სილაბუსები, ლექტორების CV-ები, პროგრამირების დოკუმენტი, ვებ-საიტი

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული.

რჩევები:

2.3.1 უნივერსიტეტმა უნდა განიხილოს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების (ERASMUS+, DAAD, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი) უფრო მეტად გამოყენების საკითხი, პროგრამაში უცხოელ ლექტორთა, ან უცხოური სასწავლო კურსებიდან ქართველი კურსდამთავრებულების მოსაწვევად.

2.3.2 თუკი თვისებრივი მეთოდების კურსს გადაიტანთ პროგრამის ძირითად კომპონენტად, ეს პროგრამას შეჰმატებს სიძლიერეს, ხოლო კურსდამთავრებულს - კვლევის სხვადასხვა მეთოდების გამოყენების სრულყოფილ ცოდნას. რამდენადაც, საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებას (ბაკალავრიატის და მაგისტრატურის პროგრამები) ჯერ კიდევ აქვს, უმეტესად თვისებრივ მეთოდებზე ყურადღების გამახვილების პრობლემა, რადგან განიცდის კომპეტენტურობის ნაკლებობას სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულებში, მეთოდებისა და კვლევის დიზაინის კუთხით, რაოდენობრივი მეთოდების კურსზე დამატებითი ყურადღების გამახვილება, გააფართოვებს კვლევითი ინსტრუმენტების არეალს, რომელსაც სტუდენტები გამოიყენებენ დისერტაციის წერისა და სხვა კვლევებზე მუშაობის დროს.

2.3.3 პროგრამის კურსების შინაარს გამოადგება მკაფიოდ გამოხატული ბენჩმარქინგის

	სტრატეგია, რაც კურსის დიზაინისა და პროგრამის შინაარსის თვალსაზრისით იძლევა საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინების შესაძლებლობას, ასევე სადოქტორო პროგრამის განთავსებას ადგილობრივ და საერთაშორისო კონტექსტში, მისი სისუსტეებისა და ძლიერი მხარეების გამოვლენის შესაძლებლობას.
2.3.4	შეფასების კრიტერიუმები შეიძლება დივერსიფიცირდეს და უფრო მეტად ფოკუსირდეს კონკრეტულ უნარებზე, არა მხოლოდ პრეზენტაციებზე, არამედ სწავლების ნიმუშებზე, აკადემიური წიგნების მიმოხილვაზე, ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებაზე და ა.შ.
2.3.5	მენეჯმენტს, ლექტორებს, ყოფილ და ამჟამინდელ დოქტორანტებს ერთობლივად, შეუძლიათ მოახდინონ გავლენა უფრო თანამშრომლობითი მიდგომების დანერგვაზე და ამგვარად, აქვთ შესაძლებლობა მეტად წაახალისონ კომუნიკაცია სხვა დოქტორანტებთან, ინდივიდუალური კვლევითი პროექტების მიღმა, რაც დოქტორანტებს მოამზადებს საერთაშორისო მკვლევარებთან ინტერაქციისთვის.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ვერ მოხდა დაკვირვება, რადგან არ იყო კლასებში დასწრების შესაძლებლობა.	
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)	
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს	

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ ჩართვას კვლევით პროექტებში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პოლიტიკის მეცნიერებათა კვლევითი უნარების ფართო სპექტრი მხოლოდ ნაწილობრივ არის განხილული შეფასების კრიტერიუმებით, რომლებიც უფრო მეტად ყურადღებას ამახვილებს პრეზენტაციებზე ან წერით დავალებებზე, რომლებიც ითვალისწინებს კონკრეტულ შემთხვევებში მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენებას. მართალია, ასეთი ტიპის შეფასება იძლევა სტუდენტის მიერ განვლილი მასალის ცოდნის შეფასების შესაძლებლობას, თუმცა იგი არ მოიცავს „ცოდნის პატარა ხელსაწყოებს:, როგორიცაა რეფერირება, წიგნზე მუშაობა, საჯარო ლექციების მომზადება და მოკლე „ვებ დოკუმენტური ფილმების“ შექმნა არა-აკადემიური აუდიტორიისთვის, უზრუნველყოფს რა კვლევის ეთიკურ სტანდარტებს. როგორც ადგილზე ვიზიტის დროს გაირკვა, მხოლოდ ერთი კურსდამთავრებული მუშაობს იქ სადაც მანამდე მუშაობდა. მან აღნიშნა, რომ იგი სიამოვნებით გააგრძელებდა კვლევას და სიხარულით შეუერთდებოდა პედაგოგიურ საქმიანობას პროგრამის ფარგლებში, თუმცა მისთვის ეს არავის შეუთავაზებია. კვლევის

უნარების შესავალი და პრაქტიკა ძირითადად მიუთითებს კვლევით კომპონენტზე, რაც ამ მნიშნელოვან ნაწილს უტოვებს ხელმძღვანელებს, რომლებიც მხოლოდ ნაწილობრივ არიან ჩართული საერთაშორისო კვლევით პრაქტიკასა და პუბლიკაციებში. აღმოჩნდა, რომ მოცემული ხელმძღვანელისთვის, კურსდამთავრებული აღმოჩნდა მისი პირველი დოქტორანტი. 2019-2022 წლებში სადოქტორო პროგრამის დაგეგმილი ღონისძიებების გეგმა, ასახელებს ისეთ თემებს, როგორიცაა ჰიბრიდული ომი, რუსეთის ტაქტიკა, გაზარდოს თავისი გავლენა ქართულ მედიაზე, სტრატეგიული კომუნიკაციები და პოლიტიკური თავისუფლების როლი და ა.შ. თუმცა, არცერთი დოქტორანტი არ ჩანს რომელიმე ამ თემაში აქტიურად ჩაბმული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: სილაბუსები, ინტერვიუები ხელმძღვანელებთან, ლექტორებთან, კურსდამთავრებულებთან და მოქმედ დოქტორანტებთან; პროფესიული განვითარებისთვის დაგეგმილი ღონისძიებები - სადოქტორო პროგრამა პოლიტიკის მეცნიერებებში.
რეკომენდაციები: 2.4.1 პროგრამის განმახორციელებლები, ჩართული ხელმძღვანელები და ლექტორები დასაწყისიდანვე უნდა უზრუნველყოფდნენ სტუდენტებისთვის, თავისი კვლევითი პრაქტიკის განმავლობაში საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით ადეკვატურ სწავლებას, განვითარებას და შეფასებას (კვლევის პრეზენტაცია საერთაშორისო კონფერენციებზე, პუბლიკაციები რეცენზირებად აკადემიურ ჟურნალებში, შეტანილი წვლილი უმაღლესი განათლების სახელმძღვანელოებში, (თანა) სწავლება უნივერსიტეტში და ა.შ.).
რჩევები: 2.4.2. სადოქტორო პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს დოქტორანტების აქტიურ ჩართულობას კვლევით კოლაბორაციებში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო პარტნიორ დაწესებულებებთან.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.5 სწავლებისა და სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ვინაიდან, სადოქტორო პროგრამა წარმოადგენს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის პროგრამას, სასწავლო კომპონენტი ყურადღებას ამახვილებს არამხოლოდ ცოდნის გადაცემაზე, არამედ დისციპლინურ სპეციფიკასა და ეპისტემოლოგიურ საკითხებზე. შესაბამისად, თვითშეფასების ანგარიში შესაბამისად მიუთითებს დოქტორანტის ინდივიდუალური საჭიროებებისადმი ადაპტაციას. თუმცა, როგორც ჩანს, გამოყენებული მეთოდები ეყრდნობა ტრადიციულ ლექციას და ინდივიდუალურ საუბარს ხელმძღვანელსა და დოქტორანტს შორის. სხვა, უფრო თანამშრომლობითი ფორმები არაა გამოყენებული (მაგ. დოქტორანტთა სამუშაო ჯგუფები).

პოლიტიკის კვლევის ევროპულ კონსორციუმში უნივერსიტეტის/სკოლის წევრობამ (შეუერთდა 2018 წელს), მაინც შეზღუდული გავლენა მოახდინა სწავლების მეთოდების გამრავალფეროვნებაზე. იგი არ მიჰყვება ევროპასა და აშშ-ში დარგში დანერგილ ინოვაციებს (როგორებიცაა, ვირტუალური სწავლება, კურსის განმავლობაში რელევანტურ თემებზე დისტანციური დისკუსიების შესაძლებლობა, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევებისთვის, როდესაც სტუდენტი სრულ განაკვეთზე მუშაობს და შეზღუდული შესაძლებლობა აქვს კურსის ინსტრუქტორთან რეგულარულ შეხვედრებთან ერთად, დაესწროს კოლაბორაციულ ვორქშოფებსაც). კურსის ფარგლებში არსებული სწავლების მეთოდები, არ იყენებს პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლას, მიდგომას, რომელიც აუმჯობესებს სტუდენტების მიერ ანალიტიკური ნარატივის დაუფლებას, პროგნოზების უნარს, ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

თვითშეფასების ანგარიში, პროგრამირების დოკუმენტი, ინტერვიუები დისერტაციის ხელმძღვანელებთან და დოქტორანტებთან

რეკომენდაციები:

2.5.1 უნივერსიტეტისა და პროგრამის მენეჯმენტი უნდა დაეხმაროს ლექტორებს და ხელმძღვანელებს, დოქტორანტების პროფილის შესაბამისად სწავლებისა და სწავლის უფრო მრავალფეროვანი მეთოდების შემოღებაში. ამ მიზნით, მათ შეუძლიათ დაეყრდნონ თანამედროვე სწავლების მეთოდების სპეციალისტებს, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომებისთვის.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

ამ დროისთვის, ოთხი ჩარიცხული დოქტორანტიდან, მხოლოდ ერთმა დაასრულა პროგრამა.

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.6 სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. იგი გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამის ფარგლებში სტუდენტების ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. შედგენილია ზოგადი ჩარჩო, რომელიც არეგულირებს სწავლის პროცესს საქართველოს უნივერსიტეტში. პროგრამაში სტუდენტის შეფასება მრავალკომპონენტიანია, ობიექტურია და უზრუნველყოფს კონკრეტული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას. შეფასების კრიტერიუმები გაწერილია თითოეული სილაბუსისთვის ინდივიდუალურად. პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისთვის გამოიყენება შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმები, მათი უმეტესობა სადოქტორო დონისაა, როგორებიცაა აბსტრაქტები, კვლევის პროექტები, პრეზენტაციები და ა.შ.

სამეცნიერო სათათბირო საბჭო და დოქტორანტის ხელმძღვანელი ატარებენ სადოქტორო კვლევის პერიოდულ მონიტორინგს (საბჭო შეიძლება 3-ის ნაცვლად ოთხი წევრისგან შედგებოდეს, თუ დისერტაციას თანახელმძღვანელი ჰყავს), ის სამივე არსებული საბჭოს წევრია. სასწავლო პროცესის დროს, დოქტორანტი მუდმივად იღებს უკუკავშირს პროფესორებისგან, კვლევისა და შედეგების გაუმჯობესების თაობაზე. სტუდენტებს შეუძლიათ შეფასების გასაჩივრება, რასაც მართავს საქართველოს უნივერსიტეტი სტუდენტთა შეფასებისთვის, კრედიტების და დამატებითი/ განმეორებითი კურსების/კომპონენტებისთვის.

დისერტაცია მზადდება კონკრეტული წესების მიხედვით და მოიცავს რამდენიმე ეტაპს, როგორებიცაა წინასწარი განაცხადი, კვლევითი სემინარი, კოლოკვიუმი, საკვალიფიკაციო ნაშრომი. ნაშრომის პრეზენტაცია და დაცვა განისაზღვრება სადოქტორო ნაშრომში, სადაც ასევე დაკონკრეტებულია შეფასების კრიტერიუმები. სადისერტაციო საბჭო (შედგება მინიმუმ 5 და მაქსიმუმ 7 წევრისგან, მათ შორის სამეცნიერო სათათბირო საბჭოს წევრებისგან, ხელმძღვანელ/თანახელმძღვანელთან ერთად) არის ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია სადოქტორო დისერტაციის საბოლოო დაცვის განხორციელებაზე. სადოქტორო დისერტაციის დაცვის პროცედურა ითვალისწინებს საქართველოს უნივერსიტეტთან არააფილირებულ დარგის ექსპერტის ჩართვას, რათა მოხდეს სადოქტორო დისერტაციის გარე შეფასება. საქართველოს უნივერსიტეტში მომზადებული სადოქტორო ნაშრომები მოწმდება პლაგიატზე, „ტურნიტინ“-ის პროგრამის მეშვეობით. თუმცა, სამი დოქტორანტიდან მხოლოდ ერთთან გასაუბრებამ და პროფესიული საქმიანობის გამო დანარჩენების არყოფნამ, გვიჩვენა, რომ რეალური პრაქტიკა არ ემთხვევა აკადემიური სრულყოფისკენ სწრაფვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; სადოქტორო პროგრამის სილაბუსები; სადოქტორო დებულება; სამეცნიერო-სათათბირო საბჭოს მუშაობის წესები; დოქტორანტის მიერ ჩატარებული ლექციების შეფასება

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

2.6.1 ამ დრომდე, დოქტორანტები ძირითადად, მარტო მუშაობენ თავიანთ ხელმძღვანელებთან. საქართველოს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა იძლევა ახალგაზრდა მკვლევარებისთვის ჯგუფური მუშაობის დანერგვის საშუალებას, სადაც ისინი შეძლებენ ერთმანეთის დახმარებას და ამგვარად ისწავლიან თანამედროვე აკადემიური თანამშრომლობის ძირითად ასპექტებს.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება
☐ ☑**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა პროგრამის დაუფლება		X		

3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა

უსდ ქმნის სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს შესაბამისი სერვისების შეთავაზებით. პროგრამის განმახორციელებელი თანამშრომლები აცნობენ სტუდენტებს აღნიშნულ სერვისებს, ატარებენ ღონისძიებებს და ხელს უწყობენ სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისები
სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებით, აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, დასაქმებისა და პროფესიული განვითარების შესახებ.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტში პოლიტიკის მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის აღწერა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალურ საიტზე და სტუდენტურ სისტემა "My UG"-ში. იგი შეიცავს დეტალურ ინფორმაციის საუნივერსიტეტო პროგრამაზე, სასწავლო მიზნებსა და შედეგებზე, მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე, კრედიტებზე და შეფასებებზე. თუმცა, დეტალური ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია საორიენტაციო შეხვედრებზე, რომლებსაც პროგრამის წარმომადგენლები ესწრებიან. ყოველივე ეს სტუდენტს აწვდის ინფორმაციას მისთვის საინტერესო საკითხებზე;. დოქტორანტი იღებს რჩევებს და დახმარებას სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე დირექტორისგან, ფაკულტეტის ხელმძღვანელისგან, პროგრამის ოფიცერის ან სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ასისტენტისგან.

დოქტორანტს ასევე ეხმარება აკადემიური მრჩეველთა საბჭო. ეს არის კოლეგიალური სტრუქტურა, რომელიც მიზნად ისახავს დოქტორანტის მხარდაჭერას სამეცნიერო/კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებაში. ინტერვიუებზე გამოვლინდა, რომ სტუდენტები აქტიურად მუშაობენ კვლევის ხელმძღვანელებთან და მათ ასევე, აქტიურად ეხმარება სამეცნიერო მრჩეველთა საბჭო.

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები ადგილობრივ და საერთაშორისო დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან და უნივერსიტეტებთან, ასე რომ შესაძლებელია ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, გაცვლით პროგრამებში, კონფერენციებსა და კვლევით სტაჟირებებში მონაწილეობის მიღება, თუმცა, სამწუხაროდ, საქართველოს უნივერსიტეტი არ იყენებს ამ შესაძლებლობებს ინტერნაციონალიზაციის აქტიურად გასაუმჯობესებლად.

პროგრამა მჭიდრო კონტაქტშია დამსაქმებლებთან, თუმცა მხოლოდ არასამთავრობო დაწესებულებებთან. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, პრაქტიკა გაიარონ პარტნიორ ორგანიზაციებში და ჩაერთონ სხვადასხვა პროექტებში, თუმცა ინიციატივების უმრავლესობას ხელმძღვანელობენ პარტნიორები და არა უნივერსიტეტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; სამუშაო დატვირთვა, ფუნქციები, პასუხისმგებლობები და სამუშაოს აღწერილობა სტუდენტთა დამხმარე მომსახურებებით (აკადემიური / სამეცნიერო / მოწვეული / ადმინისტრაციული / დამხმარე პერსონალი, ფაკულტეტის / სკოლის კოორდინატორები, დამრიგებლები და ა.შ.); დაგეგმილი და დასრულებული სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები; საქართველოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდი და სტუდენტური სისტემა; სტუდენტური სისტემა "My UG"; უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

3.1.1. დაამყარეთ ახალი და განამტკიცეთ არსებული საერთაშორისო პარტნიორობები, ისე რომ ბოლო კურსის სტუდენტებმა შეძლონ გამოცდილების მიღება საერთაშორისო კვლევით გაცვლის პროცესში სადოქტორო დონეზე, რაც ასევე მოიცავს, ჩართულობას ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კოლაბორაციებსა და /ან კვლევით პროექტებში.

რჩევები:

3.1.2. დაამყარეთ პარტნიორობები ბიზნესის და საჯარო სექტორის პოტენციურ დამსაქმებლებთან.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

აკადემიური სათათბირო საბჭო, კოლეგიური სტრუქტურა, რომელიც მიზნად ისახავს დოქტორანტის მხარდაჭერას სამეცნიერო/კვლევითი კომპონენტის წარმატებით

განხორციელებაში.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში O მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ სადისერტაციო ნაშრომის კვალიფიციური ხელმძღვანელები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტში სადოქტორო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის ყველა პროცედურა გაწერილია სადოქტორო რეგულაციებით. საქართველოს უნივერსიტეტმა ისინი გამოაქვეყნა უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია ყველა აკადემიურ სათათბირო საბჭოში. ეროვნულ დონეზე, მკვლევარები სათანადოდ არიან დამკვიდრებულნი თავიანთ დარგში, ამგვარად აქვთ საკმარისი ცოდნა და გამოცდილება, რომ დაეხმარონ კვალიფიციურ დოქტორანტებს. თუმცა, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი არ ავლენს საკმარის საერთაშორისო მასშტაბის ექსპერტიზას თავიანთ კვლევაში (პუბლიკაციები, აკადემიური კონფერენციები). ზოგიერთი ხელმძღვანელი, მხოლოდ ახლა იძენს დოქტორანტის ხელმძღვანელობის პირველ გამოცდილებას. აკადემიური პერსონალის პირად საქმეებსა და ინტერვიუებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები, რომელთაც აქვთ ნაშრომის თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, ორი ასოცირებული პროფესორი ხელმძღვანელობენ ამჟამინდელ სტუდენტებს. ისინი რეგულარულად უწევენ კონსულტაციებს დოქტორანტებს. კონსულტაციების სიხშირე დამოკიდებულია პროგრამისა და საკვლევი თემის სპეციფიკაზე. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ კვლევის პროცესში, ხელმძღვანელი აქტიურად ურჩევდა მათ სხვადასხვა საკვლევ თემას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებისას, რამდენიმე პროფესორმა აღნიშნა, რომ მათ აქვთ მოლაპარაკებები უნივერსიტეტთან, და რომ თუ სტუდენტი აირჩევს მათი სპეციალობის შესაბამის თემას, ისინი მზად არიან უხელმძღვანელონ და მისცენ მიმართულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: O გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან და კურსდამთავრებულებთან; სადოქტორო პროგრამაზე გამოცხადებული ადგილები და საკვლევი თემები; პროგრამის ხელმძღვანელების რეზიუმეები.

რეკომენდაციები: 3.2.1 საქართველოს უნივერსიტეტმა ხელმძღვანელებთან ერთად უნდა დააზუსტოს ხელმძღვანელობისთვის საჭირო კვალიფიკაციები და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება. 3.2.2 დოქტორანტებისთვის საერთაშორისო აკადემიური კვლევითი პრაქტიკის გაცნობა უნდა უზრუნველყოთ, მაგალითად თანა-ხელმძღვანელობის სახის ინტერნაციონალიზაციის მეშვეობით.
რჩევები: 3.2.3. დანერგეთ კონსულტაციის განრიგის პრაქტიკა სტუდენტსა და ხელმძღვანელს შორის.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ხელმძღვანელებთან გასაუბრებით, მივიღეთ ინფორმაცია ინდივიდუალიზებულ მხარდაჭერაზე, რომლის მობილიზებაც შეიძლება საჭიროების შემთხვევაში და მცირე გრანტის გაცემა კვლევის ჩასატარებლად, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს ყურადღება გაამახვილონ მხოლოდ თავიანთ კვლევაზე და განახორციელონ დარგის კვლევა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსები
➢ პროგრამის პერსონალი შედგება კვალიფიციური სპეციალისტებისაგან, რომლებიც ფლობენ საჭირო კომპეტენციას, რათა დაეხმარონ სტუდენტებს სწავლის შედეგების მიღწევაში; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის მდგრად წარმართვას და ასევე, კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის პერსონალი შედგება კვალიფიციური აკადემიური პერსონალისგან. მუშაობს 11 პროფესორი და ასოცირებული პროფესორი, რომლებიც პროგრამაში ჩართული არიან როგორც სასწავლო პერსონალი და ხელმძღვანელები. ისინი არიან კომპეტენტურები თავიანთ დარგში და, როგოც წესი, ფლობენ ხარისხს და/ან პროფესიულ ექსპერტიზას იმ კურსში, რომელსაც ასწავლიან. თუმცა, ზოგიერთი მათგანი არ არის პოლიტიკის მეცნიერების კურსდამთავრებული, არამედ ისტორიკოსია. იმავდროულად, ადგილზე ვიზიტის დროს მივხვდით, რომ ერთადერთი უცხოელი თანამშრომელი, ქალბატონი სანდრა ჯ. ჯონსონი რეალურად, საერთოდ არ არის ჩართული პროგრამაში, არამედ მუშაობს პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამაზე და არ ასწავლის დოქტორანტურის საფეხურზე. პროგრამას ჰყავს რამდენიმე კვალიფიციური მოწვეული ლექტორი. პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს საჭირო ცოდნას, გამოცდილებასა და ხედვას- რადგან მან, გერმანიაში მოიპოვა დოქტორის ხარისხი - პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის. ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს აქვს სათანადო კომპეტენცია და მათი რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტთა საჭიროებისთვის. თუმცა, პერსონალის არცერთ ძირითად თანამშრომელს არ აქვს გამოქვეყნებული პუბლიკაციები საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში, რაც გავარკვიეთ მაშინ, როდესაც მოვითხოვეთ ყველა პუბლიკაციის სია, რაც მოგვაწოდეს ვიზიტის დასასრულს. სიიდან ჩანს, რომ მთავარი საერთაშორისო პუბლიკაციები აქვს IT პროფესორს და არა პოლიტიკის მეცნიერებების პროფესორებს. 13 ლექტორიდან, რომლებზეც პროგრამა გვაწვდის ინფორმაციას (EXCEL ფაილი, ლექტორების სია), სამი არ არის ჩართული პროგრამის შემუშავებაში და არც არის ნახსენები პროგრამის შინაარსში (სავალდებულო/არჩევითი კურსები). ვიზიტის დროს, სადოქტორო პროგრამის დღის წესრიგით გათვალისწინებული მოწვეული ლექტორებიდან, მხოლოდ მათთან მოგვეცა გასაუბრების შესაძლებლობა, ვინც არ იყო ჩართული პროგრამაში. შესაბამისად, ამ გასაუბრების შედეგები არ არის რელევანტური მათი ჩართულობისა თუ პროგრამის/ადმინისტრაციული მხარდაჭერის კმაყოფილების შეფასებისთვის. უფრო მეტიც, ინტერვიუს ორი ლექტორი ესწრებოდა, რომლებიც არ იყვნენ ნახსენები არც პროგრამაში და არც ლექტორთა სიაში (Excel file, პოლ.მეც.სადოქტორო პერსონალის სია).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

თვითშეფასების ანგარიში, CV-ები, ინტერვიუები უნივერსიტეტის პერსონალთან (აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორები), პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, აკადემიური გამოცემების სია; პოლიტიკის მეცნიერებათა სადოქტორო პერსონალის სია -EXCEL)

რეკომენდაციები:

4.1.1 პროგრამის განვითარებაზე მომუშავე აკადემიურმა პერსონალი მეტად უნდა ეცადოს, რომ საკუთარი კვლევები გამოაქვეყნოს საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში. საკუთარი პრაქტიკული გამოცდილების გარეშე, ისინი ვერ შეძლებენ გაუძღვნენ სტუდენტების საერთაშორისო აკადემიურ მოსწრებას.

4.1.2 პროგრამის მენეჯმენტი უნდა ისწრაფვოდეს, საქართველოს უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის პროცესში, საერთაშორისო მკვლევარების მეტი ჩართულობისკენ. ამგვარად, დოქტორანტებისთვის ხელმისაწვდომი გახდება საერთაშორისო კვლევითი ლიტერატურა და გაცვლითი პროგრამები, რათა გამოცდილება დააგროვონ შესაბამის მიმართულებებში.

რჩევები:

4.1.3 პოლიტიკის მეცნეირებათა დარგში ხელმისაწვდომი საერთაშორისო პერსონალი აქტიურად უნდა იყოს ჩაბმული პროგრამასა და მის განვითარებაში.

4.1.4 პროგრამის პერსონალმა აქტიურად უნდა გამოიყენოს საქართველოს უნივერსიტეტის „სოციალურ მეცნიერებათა კავკასიის ჟურნალი“, რათა მისცენ დოქტორანტებს ინგლისურენოვანი სტატიების რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნების პრაქტიკა. ეს უდავოდ დადებითი მხარეა.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- უსდ რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და მისი შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. გარდა ამისა, ხელს უწყობს მათ სამეცნიერო/კვლევით საქმიანობას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტი რეგულარულად ახორციელებს საკუთარი აკადემიური პერსონალის შეფასებას. ეს ვრცელდება პროგრამაში ჩართულ მოწვეულ ლექტორებზეც. პერსონალის შეფასება ეყრდნობა მათ სასწავლო და კვლევით საქმიანობას. ასევე, მათ სემესტრულად აფასებენ დოქტორანტები სპეციალური კითხვარების მეშვეობით, რომლებსაც შეიმუშავებს ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა საქართველოს უნივერსიტეტში. დაწესებულებას აქვს უწყვეტი პროფესიული განვითარების ცენტრი პროფესორებისა, დოქტორანტების და პროფესიული განათლების კოორდინირებისთვის. მან ასევე დანერგა ფინანსური ბონუსები საერთაშორისოდ აღიარებულ ჟურნალებში პუბლიკაციებისთვის, სამეცნიერო მონაცემთა ბაზებში მათი რეიტინგების საფუძველზე. მოქმედებს საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისთვის განკუთვნილი დაფინანსების მექანიზმი. საქართველოს უნივერსიტეტი ასევე ატარებს ყოველწლიურ კონფერენციას და გამოსცემს „სოციალურ მეცნიერებათა კავკასიის ჟურნალს“, თუმცა ჯერჯერობით, ამ სადოქტორო პროგრამის არცერთ დოქტორანტს არ გამოუქვეყნებია ჟურნალში. საქართველოს უნივერსიტეტის მენეჯმენტმა ეს ცვლილებები 2018 წელს დანერგა. გაუგებარია, თუ რატომ გამოიყენება პერსონალის მიერ ამ ახალი სტრუქტურის შესაძლებლობები ძალიან შეზღუდულად. შეიძლება არსებობდეს სხვა ფაქტორები, რომლებიც აფერხებენ პერსონალის პროფესიულ განვითარებას. ჩვენ ვერ შევძელით გვენახა ან გამოგვევლინა პერსონალს შორის გამოცდილების გაზიარების (საუკეთესო პრაქტიკის) ან გამოცდილი ტრენერების მოწვევის რაიმე კოლეგიალური სტრუქტურა, მაგალითად, პროგრამის პერსონალის საზედამხედველო შესაძლებლობების გასაძლიერებლად. დასაქმებული ამერიკელი მკვლევარი მუშაობდა მხოლოდ ბაკალავრიატის დონეზე და არ იყო აქტიურად ჩართული სადოქტორო პროგრამაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: თვითშეფასების ანგარიში; გასაუბრება პერსონალთან; ბონუსების მინიჭების წესის დებულების დანართი; “მიმდინარე წლებში განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი და პროფესიული განვითარების აქტივობები”
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

4.3. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიბლიოთეკა ფლობს წიგნებს პოლიტიკის მეცნიერებათა დარგში, მოიცავს არსებით ლიტერატურას ქართულ და ინგლისურ ენებზე. ასევე მოვიძიეთ სპეციალიზირებული საერთაშორისო კვლევითი ლიტერატურა, რომელიც ხელმისაწვდომია მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის დაქირავებულ სივრცეში, დამატებითი ლიტერატურული მარაგის მთელ სპექტრთან და სამუშაო სივრცეებთან ერთად. ჯერ კიდევ იშვიათია ონლაინ მონაცემთა ბაზები უახლესი კვლევის გამოსაყენებლად. როგორც ჩანს, უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა კარგად იყო განვითარებული. სილაბუსებში ნახსენები ყველა ლიტერატურა იძებნება ბიბლიოთეკაში, ციფრული ფორმით მაინც. საქართველოს უნივერსიტეტს ზოგიერთი საერთაშორისო ჟურნალის მონაცემთა ბაზებთან (JSTOR, HeinOnline, Hinari, SABA.com.ge) აქვს გამოწერებზე შეზღუდვა, რომლებიც პროფესორებმა და სტუდენტებმა - რაღაც დონეზე - უნდა გამოიყენონ დარგის უახლესი მიღწევების გასაცნობად, თუკი მათ საერთოდ იყენებენ. თუმცა, გასაუბრების დროს ამ ბაზების გამოყენების შესახებ არავის არაფერი უხსენებია. ერთადერთი აქტიური დოქტორანტი, რომელსაც ჩვენ ვესაუბრეთ, ასევე არ იყენებდა ამ ბაზებს. კურსდამთავრებულის ნაშრომი შეიცავდა მხოლოდ რამდენიმე მითითებას საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებულ სტატიებზე. დეკანმა დაგვარწმუნა, რომ რეგულარულად შეიძენენ აქტუალურ ლიტერატურას , რომელიც რელევანტურია პოლიტიკის მეცნიერებათა დისციპლინისთვის, ასევე სტუდენტთა მოთხოვნის საფუძველზეც.

საქართველოს უნივერსიტეტს აქვს თანამედროვე კომპიუტერული ლაბორატორია, ყველა საჭირო ატრიბუტით. ყველა სასწავლო ოთახი აღჭურვილია პროექტორითა და კომპიუტერებით, მაგრამ სკამები უმეტესად ლექტორის წინ იყო განლაგებული, რაც ლექციის დროს სტუდენტებს შორის ინტერაქციის დიდ შესაძლებლობას არ იძლევა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: ბიბლიოთეკაში ვიზიტი, კომპიუტერული ლაბორატორიის და საკლასო ოთახების მონახულება.
რეკომენდაციები: არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

4.3.1. საქართველოს უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის პერსონალს შეუძლია უფრო აქტიურად გამოიყენოს ეს მონაცემთა ბაზები და წაახალისოს დოქტორანტებიც მათ გამოსაყენებლად. პოლიტიკის მეცნიერებებში უახლესი დებატების შეფასებების გაცნობა შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო აკადემიურ ჟურნალებიდან ამოკრეფილი ინფორმაციით (არა პოლიტიკის დოკუმენტებით და ბლოგებით). ეს შესაძლოა მოხდეს თავად დოქტორანტების მიერ ლიტერატურის რეგულარული მიმოხილვის შემოღების გზით.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამას თავისი ფინანსური გეგმა აქვს, რომელიც ძირითადად ფარავს ლექტორების ხელფასისა და სხვა საკითხებისთვის განკუთვნილ ხარჯებს. პროგრამის წლიური შემოსავალი იყოფა სოციალურ მეცნიერებათა სკოლასა (40%) და უნივერსიტეტს შორის (60%). მთავარი შემოსავალი არის სწავლის საფასური, რომელიც წელიწადში 3.000 ლარს შეადგენს. ეს დამატებითი ტვირთია იმ დოქტორანტებისთვის, რომლებსაც მუშაობა უწევთ სადოქტორო კვლევის პერიოდში, რაც ნეგატიურად აისახება მათი სწავლის ხანგრძლივობაზე ან სადოქტორო ნაშრომების ხარისხზე (ამ პროგრამის კურსები ტარდება 19:00-დან 21:00 სთ-მდე). თუმცა, მოთხოვნაზე ორიენტირებული კვლევითი გრანტების სისტემა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს მოიპოვონ 2000 ლარამდე ოდენობის დაფინანსება საკუთარი კვლევის ჩასატარებლად. ეს ძალიან კარგი პრაქტიკაა კვლევითი პროექტებისთვის შეთავაზებების წერის უნარის შესაძენად. საქართველოს უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ფინანსურ მხარდაჭერას კვლევის შედეგების განსამტკიცებლად, თუმცა პროგრამის წლიური ბიუჯეტის ის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია დოქტორანტების კვლევის დაფინანსებაზე ან პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზებაზე, არ არის მკაფიოდ დასახელებული ფინანსურ ანგარიშში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: თვითშეფასების ანგარიში, პროგრამის ფინანსური ანგარიში, ინტერვიუ უნივერსიტეტის მენეჯმენტთან.
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: 4.4.1. პროგრამამ უნდა შესთავაზოს დოქტორანტებს, რომ თავიანთი სადოქტორო კვლევები განახორციელონ, აკადემიური პერსონალის მიერ, რუსთაველის ან სხვა ფონდებიდან მოპოვებულ კვლევით გრანტებში ჩართული სტიპენდიების საშუალებით.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა -	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მომსახურებებს და ასევე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და მიმოხილვას. რეგულარულად ხდება საჭირო ინფორმაციის მოპოვება, გაანალიზება და გამოყენება გააზრებული გადაწყვეტილების მისაღებად და პროგრამის განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხი
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურ(ებ)თან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვაში, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასა და შეფასების შედეგების ანალიზში. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა ხორციელდება უწყვეტი ხარისხის გაუმჯობესების შესახებ საქართველოს უნივერსიტეტის გზამკვლევით. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს პროგრამის თვითშეფასების პროცესის მთავარ ნაწილს. თვითშეფასების გუნდი შედგება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, აკადემიურ, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წევრებისგან. ხარისხის შეფასების პროცესი შედგება შემდეგი ნაბიჯებისგან: პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტების შეგროვება; პროგრამის ხარისხის შეფასების გეგმა; აკადემიური მოსწრების ანალიზი; სტუდენტების პროგრამით კმაყოფილების გამოკითხვა; პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის შეფასება; პოტენციური დამსაქმებლების უკუკავშირი პროგრამის შესახებ. სტუდენტები, ისევე როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ჩართულნი არიან პროგრამის განვითარებაში, როგორც ეს თვითშეფასების ანგარიშშია მითითებული, პროგრამის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესები ხდება აღმავალ პრინციპზე დაყრდნობით. სკოლა პასუხისმგებელია პროგრამის შინაარსზე, უფლებამოსილია დანიშნოს გუნდი, რომელსაც დაევალება პროგრამის ცვლილებების/ახალი პროგრამის დიზაინის ინიციატივის დანერგვა. პასუხისმგებელ გუნდს, რომელსაც მართავს პროგრამის კოორდინატორი, ევალება რომ ჩაატაროს კვლევა პროგრამის შესაბამისობაზე, შინაარსზე, აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პერსონალის სამსახურში აყვანაზე. შემდგომ ეტაპზე, აკადემიურ პერსონალთან დგება კონსულტაციები პროგრამის დიზაინსა და სასურველ მოთხოვნებზე, შედეგად იგეგმება პროგრამის მუშაობისთვის გაუმჯობესების გზები; შემდეგ, თვითშეფასების გუნდი იღებს უკუკავშირს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სახელით, საბოლოო ეტაპზე პროგრამა თავისი ფინალური ვერსიით წარედგინება აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად. ამავდროულად, მეთოდოლოგია (განსაკუთრებით კი რესპოდენტთა შერჩევა, კვლევის სისტემატური ხასიათი) უფო მკაფიოდ უნდა დაკონკრეტდეს ანგარიშში, სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და პოტენციური დამსაქმებლების უკუკავშირის საფუძველზე. თუმცა, თვითშეფასების ანგარიში შეიცავდა რამდენიმე ხარვეზს (მითითება „ვეტერინარიის პროგრამაზე“, ნახსენები საერთაშორისო პერსონალი არ იყო აქტიურად ჩაბმული პროგრამაში, პუბლიკაციების მაღალი რაოდენობა გაბერილი იყო და არასპეციფიკური პროგრამისთვის, რაც აღმოვაჩინეთ მას შემდეგ, რაც მოვითხოვეთ აკადემიური ლიტერატურის სრული სია). ანგარიშმა დატოვა პროგრამის დოკუმენტიდან „კოპირებით ჩასმულის“ შთაბეჭდილება და არ აკონკრეტებდა შეფასების გუნდის ასახვის პროცესს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: O თვითშეფასება, უწყვეტი ხარისხის გაუმჯობესების შესახებ უნივერსიტეტის გზამკვლევი, გასაუბრება თვითშეფასების გუნდთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან; პროგრამით კმაყოფილების შესახებ დოქტორანტების გამოკითხვა; აკადემიური პერსონალის გამოკითხვა; პოტენციური დამსაქმებლების გამოკითხვა.
რეკომენდაციები:
რჩევები: არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამამ EQE-ს აკრედიტაციის პროცესი გაირა ხუთი წლის წინ. ხელახალი აკრედიტაციის პროცესის დაწყებამდე პროგრამა გაეგზავნა ექსპერტს, გიორგი გვალიას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. ყველა ექსპერტმა დადო დეტალური პასუხი შესაბამის კითხვარებზე, თავისი რჩევებით. ყველამ შეაქო პროგრამა და მისი მიზნები და შედეგები მიიჩნია მიღწევადად. პროგრამა, ასევე, გაეგზავნა პოტენციურ დამსაქმებლებს, ძირითადად არასამთავრობო სექტორიდან. ყველა დაწესებულებამ შეავსო კითხვარი და მოიწონა პროგრამა. პოტენციურ დამსაქმებლებთან გასაუბრებამ დაადასტურა, რომ მათ გაუგზავნეს კითხვარები და შეავსეს ისინი. რაც შეეხება უცხოურ შეფასებას, ასეთს ადგილი არ ჰქონია. თუმცა, განხორციელებული შეფასებების ანალიზმა დატოვა არა პროგრამის სიღრმისეული ანალიზის, არამედ ძალიან ფორმალური მიდგომის შთაბეჭდილება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: O თვითშეფასების ანგარიში, გარე ექსპერტთა შეფასების ანალიზი, პოტენციური დამსაქმებლების შეფასების ანალიზი, გასაუბრება პოტენციურ დამსაქმებლებთან;

რეკომენდაციები: 5.2.1 საზღვარგარეთის (ევროპა და აშშ) სამეცნიერო საზოგადოებაში ჩართული, დარგის საერთაშორისო ექსპერტების მიერ განხორციელებული გარე შეფასება ხელს შეუწყობს პროგრამის სრულყოფილ ფორმას, დოქტორანტურის სტუდენტებისა და ხელმძღვანელების საზოგადოების ჩამოყალიბების გზების მოძიებას, რომლებიც თანამშრომლობისა და ინტერაქციის უწყვეტი პროცესით იმუშავებენ საკვლევ თემებზე. ეს ასევე გამოსადეგი იქნება ბენჩმარქინგის პროცესში, ასევე სკოლის/უნივერსიტეტისთვის კვლევითი განვითარების სტრატეგიის შექმნისთვის.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული განხილვა
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემატური შეგროვებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტი სისტემატურად ატარებს პროგრამის მონიტორინგს. სემესტრის ბოლოს, სტუდენტები აფასებენ კურსებს, ხოლო პერსონალი იძლევა რეკომენდაციებს პროგრამის კურიკულუმთან დაკავშირებით. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა შეავსეს სპეციალური კითხვარები, სანამ ხელახალი აკრედიტაციის პროცესი დაიწყებოდა. მათ შედეგებზე დაყრდნობით, პროგრამაში დაინერგა რამდენიმე არჩევითი კურსი. გარდა ამისა, პერსონალსა და სტუდენტებს შეუძლიათ საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირება მიმდინარე საკითხებზე „MY Ug“-ს (სტუდენტებისთვის) მეშვეობით, ხოლო პერსონალს „ONLINE Ug“_ს მეშვეობით. პოტენციურ დამსაქმებლებს, ასევე სთხოვეს კითხვარების შევსება და რეკომენდაციების გაწევა, თუმცა, როგორც პროგრამიდან ჩანს, პერსონალმა მათი რჩევები არარელევანტურად მიიჩნია, შესაბამისად ამ მხრივ ცვლილებები არ განხორციელებულა. სადოქტორო პროგრამისათვის, რომელზეც სტუდენტთა შეზღუდული რაოდენობაა, კითხვარებით გამოკითხვის ფორმალიზებული პროცედურა საკმაოდ ბიუროკრატიულია. ჩვენ ვერ დავინახეთ უკუკავშირის რაიმე სხვა, უფრო მონაწილეობრივი ფორმა. დოქტორანტებს, ექსტრაკურიკულური - არააკადემიური სამუშაო ვალდებულებების გამო, აქვთ შეზღუდული დრო პროგრამის გაუმჯობესებაში უფრო აქტიური მონაწილეობის მისაღებად. კურსდამთავრებულმა გვითხრა, რომ იგი დაინტერესებული იყო პროგრამის

დასრულების შემდეგ კვლევის გაგრძელებით, მაგრამ მას პასუხი ჯერ არ მიუღია. ეს არ უნდა მომხდარიყო, თუ უნივერსიტეტში აკადემიური სრულყოფილებისა და კვლევის გაუმჯობესებისადმი სერიოზული განზრახვა არსებობს. ეს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის მიერ შემუშავებულ მონიტორინგის სისტემას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: O თვითშეფასების ანგარიში, გასაუბრება მენეჯმენტთან, სტუდენტებთან და პროფესორებთან, ასევე პერსონალთან.
რეკომენდაციები:
რჩევები: 5.3.1. სასურველია განიხილოთ სტუდენტთა წარმომადგენლობა პროგრამის ყველა შესაბამის ორგანოში, განსაკუთრებით აკადემიურ და სადამკვირვებლო საბჭოში.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობანი	X			

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
შპს საქართველოს უნივერსიტეტი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
პოლიტიკის მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა, დასკვნის
გვერდების რაოდენობა: **27**

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთ ან	მეტწილად შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1. პროგრამების მიზნები მკაფიოდაა განსაზღვრული და მიღწევადი; ისინი შეესაბამება უსდ-ს მისიას და ითვალისწინებს დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატური შეფასება		X		
3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ოლივერ რაისნერი, ხელმოწერა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ივანა მაჩიტიძე, ხელმოწერა

მარიამ ბურდილაძე,

ხელმოწერა